ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
for every child

# ბავშვის მონაწილეობა

ბავშვის უფლებათა კოდექსი („ბუკი“) ამბობს, რომ ყველა პროცესი, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს, ბავშვზე უნდა იყოს მორგებული.

## პროცესი ბავშვზე მორგებულია, როცა:





1 ყველა პატივს სცემს ბავშვს, იცავს მას და მის უფლებებს

2 ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს



3 ბავშვს მარტივად, მისთვის გასაგები ფორმით აწვდიან ინფორმაციას ყველა იმ საკითხზე, რომელიც მას ეხება



4 ბავშვს უფლება აქვს, დასვას კითხვები და მარტივი ფორმით მიიღოს პასუხები



5 ბავშვს ეკითხებიან, რას ფიქრობს და გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ მის აზრს



6 ბავშვთან მომუშავე ადამიანებმა კარგად იციან, რა უფლებები აქვთ ბავშვებს, როგორ უნდა მოიქცნენ ბავშვებთან და ყველა მათგანს აქვს ამის დამადასტურებელი საბუთი



7 ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ პირადი ინფორმაცია დაცულია და მხოლოდ იმ ადამიანებმა შეიძლება გაიგონ, რომლებიც ბავშვის უფლებებს იცავენ და ბავშვს ეხმარებიან



8 გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებენ, არის ბავშვისთვის საუკეთესო






9 ბავშვს მარტივად უხსნიან, რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება

10 ბავშვს უფლება აქვს, თუ არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი შეცვლა, ანუ გაასაჩივროს

შეიქმნა სახალხო დამცველის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ბავშვის უფლებებზე მომზადებული ყველა მასალა შეგიძლია ნახო აქ